სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 134

2016 წლის 28 ივნისი

ქ. თბილისი

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 15 ივნისის N124 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ხატია ანანიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (24.06.2016, N 765150) თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 15 ივნისის N124 ბრძანებაში, „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსში პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივ განცხადებაში“ (დანართი N10), თანდართული დანართის შესაბამისად
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი N10

დამტკიცებულია
სსიპ– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 28 ივნისის № 139 ბრძანებით

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსში
პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის #86 დადგენილებას, აგრეთვე სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის მიერ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე გამოგზავნილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვადასტურებთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას და პროექტისათვის გამოყენებას.

პროექტის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ აღნიშნულ კონკურსში წარმოდგენილი პროექტი, ან პროექტის ნაწილი არ არის უკვე განხორციელებული პროექტის ხელმძღვანელისა და/ან მისი კვლევითი ჯგუფის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით.

პროექტის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსში.

1. პროექტის შიფრი:
2. პროექტის სახელწოდება:
3. პროექტის საერთო ბიუჯეტი (აშშ დოლარი):
მათ შორის:
3.1 ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (აშშ დოლარი):
3.2 STCU-დან მოთხოვნილი თანხა (აშშ დოლარი):
4. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):
5. პროექტის წარმომდგენი:

წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის/ უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი

თანამონაწილე ორგანიზაციის #1 სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი

თანამონაწილე ორგანიზაციის #2 სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი

პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
	პროექტის ხელმძღვანელი	

თარიღი: __/__/2016